წლიწადი მეშვიდე.

საქართველო უწინარეს ყოვლისა

# თეთრი გიორგი

ქართველ პატრიოტთა ორგანო

პარიზი
ნოემბერი-დეკემბერი 1932 წელი
№ 58-59

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris XVII
რედაქტორი მ. წერეთელი. Le Directeur : M. TSERETHELI

Paris
Novembre-Décembre 32
No 58-59

## ილია...

ილიამ საქართველოს მიწა-წყალზედ ფეხი დადგა, და საყვარელ სამშობლოს სამსახურის სურვილით აღსავსეს, გაუელვა აზრმა: რას მეტყვის ჩემი ქვეყანა, რას მოუტან მას...ასე ფიქრობდა დიდი ქართველი მამულიშვილი წინაპართა, ასეული წლების ქვეყნის სამსახურისა და ზრუნვის ტრადიციით დატვირთული.

დასავლეთ ევროპაში ამოვარდნილმა ქარიშხალმა, რომელსაც არსებული, დაძველებულად და უვარგისად მიჩნეული, ცხოვრება უნდა გადაეხალისებინა, ახალი იდეები მიაქროლ-მოაქროლა მთელს მსოფლიოში, და ილიაც ამ მძლავრ ქარიშხალში იყო გახვეული.

მაღალი ნიჭით, შეუდრეკელი ნების ყოფით, დაუცხრომელი სურვილით ქვეყნის სამსახურისა, უსაზღვრო გამბედაობით და მამაცობით აღჭურვილი ილია ჩამოვიდა საქართველოში და თანაც ის აზრი, თუ რას მოუტანდა თავის ქვეყანას, აწუხებდა მას...და რა დახვდა? საქართველოს სხეული ნაწილ-ნაწილ დაფლეთილი; სად თავი ეგდო, სად გული, სად დანარჩენი ნაწილი ეროვნული სხეულისა...სული-კი, უკვდავი სული საქართველოსი, ეული და ობოლი, დაგორგავდა ბეთანიის ტაძრის ნანგრევებში, გომბორის მთაზედ, კასპეთის ველეზედ...არაგვისა და ფაზისის დუდუნში ისმოდა მისი უძლური კვნესა მომაკვდავისა...

ილიამ ერთი თვალის გადავლებით დაინახა შემაძრწუნებელი და გულსაკლავი მდგომარეობა. იგრძნო საშინელი სიძლიერე დაბრკოლებათა, ნახა სრული დაქსაქსულობა, სისუსტე და—რამდენადაც მძიმე და ძნელი იყო ბრძოლა, იმდენად უფრო გაგულისდა გოლიათი, აამოძრავა თავის არსებაში დაგროვილი ძალები, და ირგვლივ ძლიერი მტრებით ალყაშემორტყმულმა, ოთხივე კუთხივ გაშალა ბრძოლა..ბრძოლა კალმით, სიტყვით და საქმით, შეუპოვრად და მედგრად.

უსწორო ბრძოლაში ილია დღითი-დღე იპყრობდა ახალ-ახალ სანგრებს მოწინააღმდეგეებისას, სძლია ისინი, დაამარცხა, განდევნა და საზოგადო ასპარეზზედ დარჩა გამარჯვებული გოლიათი აზრისა და საქმისა აწ უკვე თანამებრძოლებით გარსშემორტყმული.

სად არ იყო ილია, სად არ ჩნდა, სად არ ნახავდით სულ მუდამ დინჯს, გონება მახვილს, ენა მეტყველს...ბანკში, თეატრში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, საერთო და საზოგადო კრებებზედ თუ კერძო საქმიან მოლაპარაკებაში, სოფლის სკოლის გახსნაზედ, წარჩინებულ მოღვაწეთა გასვენებაზედ. სად, სად არ იყო ილია თავისი გაუტეხელი ძლიერებით?

მაგონდება ილია ოდიშში, ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გახსნაზედ. ბავში ვიყავი და ჩემი უფროსი და მეუბნებოდა: ეს ილია ჭავჭავაძეა, ეს აკაკი წერეთელია. უცნობდნენ, მეტყველებდნენ...უხსნიდნენ დამსწრეთ სკოლის განათლების მნიშვნელობას, უსახავდნენ მიზნებს შორეულს, მაგრამ შესაძლებელს.—მე არა მესმოდა-რა, მაგრამ სასოებით შევყურებდი, როგორც ტაძარში ხატებს...

იმერეთის მღვდელთ მთავრის, გაბრიელის, გასვენებაზედ, ილია მატარებლის მიზეზით ქუთაისში ვერ მოსწრო და გელათში მობრძანდა, ცხედარი ტაძარში ესვენა. დამსწრეთაგან გაჭედილ ეკლესიაში ხალხი შუაში გაიპო, წინ წესრიგის დამცველნი შემოუძღვნენ ილიას, ანტონ ფურცელაძეს და სხვებს. სიტყვების წარმოთქმა დამთავრდა და ჯერი ილიასი იყო. თვალთ წინ მიდგას დაბალი, მრგვალი ტანის კაცი, მაგრამ ტანი რაა...სახე იყო მისი მთელი პიროვნების სარკე: ცეცხლის მფრქვეველი, ღრმა გამომეტყველების თვალები, ფართე, შარავანდედით გაბრწყინებული შუბლი, დინჯი და [illegible] საამური ხმა და სიტყვები «ვით მარგალიტი ობოლი ხელის-ხელ საგოგმანები». მაშინ უკვე ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ, უნდა გამოვტყდე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის სახელები პირველად გავიგონე. რა მარტივათ გადაუშალა დამსწრეთ ვრცელი და სახახელო ისტორია ქართველ სასულიერო მოღვაწეთა და საქმენი მათნი უკვდავნი და დიდნი. ერის გონებისა და ზნეობის ამამაღლებელნი. გულის ძგერით ვუსმენდი და ჩემს გონებაში იჭრებოდა ახალი, სულ უჩვეულო აზრები, რომლის მსგავს აზრებისათვის სახლში, ჩვენს ოჯახში, კანტი-კუნტად მომიკრავს ყური, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. გიმნაზიაში ნასწავლი წმ. ვლადიმირის მიერ რუსეთის მონათვლის ამბავი, პეტრე დიდის ცხოვრება, პუშკინის «კაპიტანსკაია დოჩკა» და პუგაჩოვის ბუნტის ისტორია და სხვა ამგვარი უმსგავსო რამე სჭარბობდა ჩემს გონებაში. იმ დღეს ილიამ მძლავრად [illegible] ტვინი, თვალებზედ ბურუსი გადამხსნა...რას არ გამოიყენებდა, რითა არ მოისურვებდა ესარგებლნა ერს, ვის არ აქებდა თავის გონებრივ ავლა-დიდებას, ვის არ მოევლინებოდა მფარველად, მხსნელად, მშველელად, მასწავლებლად. ვაჭარს, გლეხს' თავადს, მღვდელს, ერსა და ბერსა. მისთვის ყველა საჭიროდ იყო მიჩნეული. მცონარეს, უსაქმურს, არ გაიკარებდა,—გამრჯელს,მშრომელს, რამის გამკეთებელს,ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, სამშობლოს საკურთხევლისაგან მიერეკებოდა, ყველა ფერი და ყველას სამშობლოსა და ერის სალარეში უნდა შეეტანა. აი რა იყო ილიას მრწამსი.და აი,ამ პუმბერაზმა ქართველმა განამრთელა დაავადმყოფებული, დაფლეთილ-დაგლეჯილი სხეული საქართველოისი, ჩაუდგა მას სული, რომელიც მოსძებნა, მგორგავი, საქართველოს მთაბარში და ეგ სუსტი ეროვნული სხეული მისცა მის თაობას სამუდამო განსაკურნებლად. დიახ! ილიამ საქართველო მოგვცა. იდეა საქართველოს არსებობისა, მისი უკვდავების, ილიამ მისცა მის თაობას. საქართველო,როგორც პიროვნება უფლება მოსილი, არსებული დღესაც, ილიამ აასხა და დააყენა ფეხზედ.—საჭირო იყო ამ სუსტი სხეულის მოვლა პატრონობა, მასზედ ზრუნვა სიყვარულით და თავგანწირულებით. მაგრამ...რუსეთი რის რუსეთი იქნებოდა, რომ არ ემოქმედნა ყველაფერი მსგავსის წინააღმდეგ. «ცარების» რუსეთის გარდა საქართველოს მოევლინა იგივე რუსეთი მხოლოდ სხვა სახით—«რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის» სახით,რომელმაც უარ ჰყო საქართველო და მისი არსებობა...

ორთავიანი არწივის ბრჭყალებს გადარჩენილი საქართველო-რუსული ნამგლის და ჩაქუჩის მსხვერპლი შეიქმნა

ორთავიანი არწივის ბრჭყალებით გულ დაფლეთილ საქართველოს დღეს რუსის «ბროდიაგა მუჟიკის» ნამგალი სთიბავს და ჩაქუჩი თავს უჭეჭყავს. მაგრამ გამოფხიზლებული, ტანჯვაში გამობრძმედილი საქართველო, რომ არც ადვილი გასაჭეჭყია, ამის თავდები მისი ძლიერი წარსული და დღევანდელი გაუტეხელი მებრძოლი საქართველოა—მომავალი კი, დიდო ილიავ, ისევ შენია და ჩვენც შენი სიტყვებით მივმართავთ საქართველოს:

წარსულმა თუ გიმუხთლა
მომავალი შენია...

შენ-კი, საამაყო ქართველო, აულ მუდამ იქნები მხილება ქართული ეროვნული სინიდისისა, სულ მუდამ იქნები სირცხვილის გრძნობის გამომწვევი იმ ერში, რომლის უღირსმა წევრებმა, ავაზაკური აზროვნებით ამოქმედებულებმა, შენი, საქართველოზედ ზრუნვით და ჭმუნვით დანაოჭებული შუბლი «ბერდანის» ტყვიით შეანგრიეს.

მეგობარი.

## სამი თეორია

ეკონომიკის შესახებ სამი მთავარი მიმართულება არსებობს: დემოკრატიული ანუ ლიბერალური, მარქსისტული და ნაციონალისტური ანუ ფაშისტური.

დემოკრატიზმის მიმართულება ეკონომიკის დარგში ლიბერალურ სკოლას ემყარება. მისი ძირითადი დებულება შემდეგია: კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეურნეობა. ლიბერალური სკოლის რწმენით ეკონომიკის და მის ნიადაგზედ არსებულ ურთი-ერთობას საზოგადოების წევრთა შორის განაგებენ ბუნების ურყევი კანონები. ამიტომ ეკონომიკის მოქმედებაში სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს. ესაა დემოკრატიზმის ცნობილი პრინციპი, რომელსაც ფრანგები laisser faire-ს უწოდებენ. ქართულად შეიძლება შემდეგნაირად გამოვსთქვათ: «მიუშვი თავის ნებაზედ».

მარქსიზმს საზოგადოებრივი ევოლუციის საბოლოო მიღწევად მიაჩნია ეკონომიკა კერძო საკუთრების გარეშე. მისი დებულებით კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეურნეობა ქარხნისა და სოფლისა უნდა მოისპოს. მათი ადგილი უნდა დაიჭიროს კოლექტიურმა საკუთრებამ და კოლექტიურმა მეურნეობამ. ხოლო გამგეთ, მეურნეთა ამ კოლექტიური ეკონომიკისა უნდა იყოს სახელმწიფო. ამასთანავე მოსპობილი უნდა აქმნენ ყველა სოციალური კლასები და დამყარდეს უკლასო საზოგადოება. მარქსისტულ, ე.ი. კომუნისტურ წყობილებაში საზოგადოების ყოველი წევრი სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მუშად უნდა გახდეს. ესაა კომუნიზმი, რომლის განხორციელებისათვის სხვა და სხვანაირი ტაქტიკით იბრძვის მარქსიზმის ორი შტო: მენშევიზმი და ბოლშევიზმი. მარქსის თეორიით კომუნიზმის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კლასთა ბრძოლის საშუალებით.

ფაშისტური ანუ ნაციონალისტური თეორია ამბობს: ეკონომიკა უნდა დამყარებული იყოს კერძო საკუთრებაზედ, რაც მისი ბუნებრივი და გარდუვალი ნიადაგია. მეურნეობას, როგორც ინდუსტრიალურს აგრეთვე მიწათ მოქმედების დარგში, უნდა შერჩეს ინდივიდუალური სახე. ეს იმიტომ, რომ ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინდივიდუალიზმია, ხოლო სახელმწიფო უნდა იყოს შრომის ორგანიზატორი და აწესრიგებდეს ეკონომიკის ნიადაგზედ არსებულ ურთი-ერთობას. ამ მხრივ ნაციონალისტური დოქტრინა მირეულად განსხვავდება დემოკრატიულისაგან. მან უკუ აგდო დემოკრატიზმის ლიბერალური პრინციპი laisser faire-ისა და სურს ეკონომიკის დარგში წესიერების და ეროვნული მიზანშეწონილობის დამყარება.

ცხოვრებამ უდავოდ დაამტკიცა, რომ მარქსისტული ეკონომიკა ცივილიზაციის დანგრევის სინონიმია. ამ მხრივ რუსეთის გარდა სხვა მაგალითებიც ისე მრავალია, რომ აქ ამის მტკიცებას არ გამოუდგები. ამ წერილის საგანს, უმთავრესად, დემოკრატიული და ფაშისტური ეკონომიკის შედარება შეადგენს.

დღეს ყველასთვის ცხადია, რომ კომუნისტური ეკონომიკის ნიადაგი თვით დემოკრატიზმმა მოამზადა. გავარჩიოთ თუ რამ შეუწყო ხელი მარქსისტული მოძრაობის სისტემატიურ ზრდას დემოკრატიზმის წიაღში.

დემოკრატიზმის დამყარებამდე ევროპაში არსებობდენ მუშათა და ხელოსანთა საერთო კორპორაციები. ამ კორპორაციებს უარყოფითი მხარეებიცა ჰქონდათ. მაგრამ თან ისეთი ღირსებანიც, რომ საბოლოოდ მუშებისთვის დადებით მოვლენას წარმოადგენდენ. კორპორაცია მუშების ნამდვილი თავშესაფარი და საერთო კერა იყო. იგი ზრუნავდა მუშის და მისი ოჯახის ნივთიერ და სულიერ მდგმარეობაზედ და ყოველგვარ დახმარებას უწევდა მას. კორპორაციის წყალობით მუშა არ იყო განმარტოებული პატრონის თვით ნებობის წინაშე. კორპორაციებს საკუთარი ნივთიერი შეძლება ჰქონდათ ხოლმე და ხშირად ფრიად მნიშვნელოვანიც. ამ ქონების მონაწილე მუშებიც იყვენ და ეს გარემოება მუშას სამშობლოსთან ნივთიერადაც აკავშირებდა რაც, რასაკვირველია, მათი პატრიოტული გრძნობის გაღრმავებას ხელს უწყობდა. საჭირო იყო ამ კორპორაციებში რეფორმის შეტანა; მათი გადახალისება და შეგუება ცხოვრების ახალ პირობებთან. ხოლო დემოკრატიულმა წყობილებამ ამის მაგიერ, დღითგანვე თავისი ბატონობისა, საუკუნეებით არსებული კორპორაციები გააუქმა და მათი ქონება სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. დაინგრა ეს საერთო თავშესაფარი, რომელშიც მუშა პოულობდა კოლექტიურ ძალის მფარველობას და დარჩა იგი განმარტოებული ყოვლად ძლიერი პატრონის წინაშე. ამ დღითგან შეიქმნა ის სპეციფიური კლასი, რომელსაც პროლეტარიატი ეწოდება. ამასთანავე დემოკრატიულ წყობილებაში მოხდა საზოგადოების წევრთა უკიდურესი გადარჩევა, მიხედვით მათი ნივთიერი მდგომარეობისა. უწინდელი ისტორიული და მემკვიდრეობითი არისტოკრატიის მაგიერ წარმოიშვა ახალი კლასი: ფულის არისტოკრატია. დამყარდა ფულის ბატონობა. აი რატომ ჯერ კიდევ ანტიური ათინის ფილოსოფოსნი ამბობდენ: „დემოკრატია ფულის ბატონობაა"-ო. და დღეს ხომ ეს უდავო აქსიომადაა აღიარებული. ცალი მხრივ შეიქმნა ურიცხვი სიმდიდრე, მეორე მხრივ უკიდურესი სიღატაკე. კლასთა ასეთმა გადარჩევამ კლასთა ანტაგონიზმი წარმოშვა. ორი ახალი კლასი ერთმანეთს მტრულად დაუპირდაპირდა. ეს უკვე საკმარისად ნოყიერი ნიადაგი იყო სოციალისტური მოძრაობისათვის. ამ მოძრაობითგან ნელ-ნელა ჩამოყალიბდა მარქსის კომუნისტური დოქტრინა.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთ ნიადაგთაგანია მარქსიზმისა, რომელიც დემოკრატიულმა წყობილებამ შექმნა. არის მეორეც, რომლითაც დემოკრატიზმმა კომუნისტურ იდეებს პრაქტიკული გამართლება მიანიჭა. სიმწუხაროდ ამ მოვლენას საკმარისს ყურადღებას არ აქცევენ. მე მხედველობაში მაქვს შემდეგი. კაპიტალისტური მეურნეობა დემოკრატიზმის დამყარებამდეც არსებობდა. ხოლო მას სხვა შინაარსი ჰქონდა. იგი დამყარებული იყო რეალურად არსებულ ქონებაზედ; ხორც შესხმულ, ხელ შესახებ ნივთიერ საკუთრებაზედ.დემოკრატიზმის წყალობით ეკონომიკამ ეს ბუნებრივი და ლოღიკური თვისება დაჰკარგა და დაუახლოვდა კომუნისტური ეკონომიკის ტიპსა. უწინ ინდუსტრიის (მეურნეობის) სათავეში იდგა თვით პატრონი. მისი მეურნეობა წარმოადგენდა ხელშესახებ და განსაზღრულ ღირებულებას. ამნაირად ყოველი ქარხანა დიდი იყო იგი თუ მცირე წარმოადგენდა გარკვეულ სახეს: ცალი მხრივ განსაზღვრული, რეალური საკუთრება, რომლის გამოანგარიშება ადვილია; მეორე მხრივ ამ სავსებით განსაზღრული ქონების სათავეში სდგას თვით პატრონი, ე.ი. კონკრეტიული პიროვნება. პატრონი თავის მოქმედებაში ზნეობრივად და იურიდიულად

პასუხის მგებელი საზოგადოების წინაშე. ამგვარად ეკონომიკის წიაღი სიმარტივით და გარკვეულობით ხასიათდებოდა. სავსებით ჩამოყალიბებულნი იყვნენ ეკონომიკის სამი მთავარი ფაქტორი: მეურნეობის ორგანიზატორი, ე.ი. პატრონი, რომლის პიროვნება ცნობილია; კაპიტალი, ე.ი. თვით მეურნეობა, რომელიც არსებული სინამდვილეა; კორპორაცია, რომელიც წარმოედგენს მუშათა კოლექტიურ ძალას და იცავს მათ ინტერესებს. ამნაირად ეკონომიკის დარგში არსებობდა ერთნაირი წონასწორობა და დამყარებული იყო რეალურ საფუძველზედ. ამგვარ ეკონომიკაზედ შესაძლებელი იყო ეკონომიური პოლიტიკის მიზან-შეწონილი წარმოება. შესაძლებელი იყო ეროვნული ქონების რაოდენობის გამოანგარიშება. დემოკრატიულ წყობილებაში ეკონომიკის ასეთი ვითარება უკუღმა შეტრიალდა. დემოკრატიზმის ლიბერალურმა პრინციპმა ხელი შეუწყო კაპიტალიზმის ზე-კაპიტალიზმად განვითარებას; ეროვნულითგან საერთაშორისოდ გარდაქმნას. ეროვნულმა ეკონომიკამ საერთაშორისო სახე მიიღო. შეიქმნენ უზარმაზარი საერთაშორისო სააქციონერო საზოგადოებები. უწინ არსებული რეალური ქონება გადატანილი იქმნა ქაღალდებზედ: აქცია-ობლიგაციები. რეალური, ხელშესახები ღირებულებანი ქაღალდებზედ აღრიცხულ განყენებულ რიცხვებად გადაიქცენ. კონკრეტიული იქცა აბსტრაქციად, რეალური ფიქციად. ფიქციად მეთქი, ვინაითგან არ არსებობს არც ერთი სააქციონერო საზოგადოება, რომლის ქონების რათდენობის გამორკვევა შესაძლებელი იყოს; რომლის ნივთიერი შეძლება აქციებზედ აღნიშნულ რიცხვებს დაახლოებით მაინც უდრიდეს. ამერიკის კრიზისმა გამოამჟღავნა, რომ სააქციო საზოგადოებათა რეალური ქონება, სინამდვილეში, აქციებზედ ფიქტიურად აღნიშნულ რიცხვის ერთ მეათედს არ უდრიდა. სხვათა შორის ეს მოვლენაც ერთ დიდ მიზეზთაგანია იმისა, რომ დღეს ამერიკაში 30 მილიონზედ მეტი დამშეულია. კროგერის ბუმბერაზულ ვაკოტრებასაც უმთავრესად ეს მიზეზი აქვს. ფიქციაზედ დამყარებულმა ეკონომიკამ არ შეიძლება ერთ დღეს ეკონომიური კატასტროფა არ გამოიწვიოს. ეკონომიკის ამ ფიქტიურმა ხასიათმა შესაძლებელ ჰყო სპეკულიაცია მთელი მისი მავნე მხარეებით და შეჰქმნა მთელი კლასი საზოგადოების ნამდვილ პარაზიტებისა: სპეკულანტები.

დიახ, დემოკრატიზმის წყალობით მეურნეობამ დაჰკარგა რეალური სახე და ამასთანავე ეკონომიკის გეგმითგან გაჰქრა პატრონიც: მეურნეობის კონკრეტიული ხელმძღვანელი და მესაკუთრე. მის მაგიერ აღიმართა სააქციონერო საზოგადოება: აბსტრაქტიული, განყენებული პიროვნება. ვინაა დღეს პატრონი ამა თუ იმ მეურნეობისა? ამის თქმა ყოვლად შეუძლებელია· არსებობენ მეურნებობანი, საფინანსო და სავაჭრო დაწესებულებანი, რომელთა აქცია ობლიგაციები მილიონობითაა გაფანტული დედა-მიწის ზურგზედ. ეს მრავალი აქციონერები ამა თუ იმ მეურნეობის თანამესაკუთრენი არიან. ამნაირად დემოკრატიულ წიაღში შეიქმნა ერთნაირი კოლექტიური საკუთრება. ეს უკვე კომუნიზმის ძლიერი ბაზაა. მეტიც: ეს უკვე კომუნიზმის დასაწყისია. ამ რიგად, დემოკრატიზმი კერძო საკუთრებას, რომელსაც თვით აღიარებს, თვითვე არღვევს თავისივე მეორე პრინციპით. ვინც კარგად იცნობს დემოკრატიზმის წონასწორობა მოკლებულ ბუნებას, მისთვის ასეთი წინააღმდეგობა და ულოღიკობა გასაგებია.

პატრონის მაგიერ მეურნეობის და კომერციის თავში ჩადგა სააქციონერო საზოგადოების გამგეობა: განყენებული პიროვნება. ამნაირად დღეს მსოფლიო ეკონომიკას განაგებს განყენებული პიროვნება, რომელიც საზოგადოებასთან არავითარი ზნეობრივი მოვალეობით დაკავშირებული არაა, რათგან აბსტრაქცია ზნეობის გარეშე სდგას. ასეთია მისი ბუნება, აქეთგან, რასაკვირველია, ადვილად მართლდება მარქსისტული იდეა: ვინაითგან ეკონომიკას მაინც აბსტრაქცია განაგებს უმჯობესია მისი გამგედ და მესაკუთრედ გახდეს უფრო დიდი ავტორიტეტით და ძალით აღჭურვილი აბსტრაქცია: სახელმწიფო; ვინაითგან მეურნეობა კოლექტიური საკუთრების სახეს იღებს, სჯობია მთელ ეროვნულ საკუთრებასაც კოლექტივი დაეპატრონოს. გამოხატავს რა სახელმწიფო კოლექტივს, ნამდვილ მესაკუთრედ ერის მთელი ქონებისა, ის უნდა იქმნას აღიარებული. ამნაირად, ვიმეორებ, თვით დემოკრატიულმა წყობლებამ მოუმზადა ნიადაგი კომუნიზმს.

ეკონომიკის საერთაშორისო გეგმაზედ გადატანას თან გადააქვს პოლიტიკაც. დემოკრატიულ წიაღში პოლიტიკასაც საერთაშორისო ტენდენცია აქვს. ეროვნულ პოლიტიკასოვით დემოკრატიული პარტიების წყალობით, ეცლება ეროვნული ნიადაგი და საერთაშორისო ხასიათს იღებს.

დემოკრატიულმა ზე-კაპიტალიზმმა ერებს წაჰგლიჯა საკუთარი ეკონომიკის გამგებლობა და გადასცა იგი საერთაშორისო ელემენტებს, რომელთა მიზანი მხოლოდ პიროვნულია და მაშასადამე ეროვნულ მიზნებს ეწინააღმდეგება. ეს მეტად რთული საკითხი მთელ თხზულებას საჭიროებს და იძულებული ვარ აქ მას გვერდი აუქციო. დავსძენ მხოლოდ, რომ ზე-კაპიტალიზმის საერთაშორისო ხასიათმაც ხელი შეუწყო მარქსისტულად შეგნებულ საერთაშორისო იდეის განმტკიცებას.

ესაა ზე-კაპიტალიზმი, რომელიც წარმოიშვა დემოკრატიულ წყობილების ნიადაგზედ. მას ახასიათებს ანტი-ეროვნული ბუნება; იგი საერთაშორისოა ვინაითგან ნივთიერად და ორგანიზაციის მხრივაც საერთაშორისო ძალების ხელში იმყოფება; მოკლებულია ეროვნულ მიზნებს; ის კლასთა ბრძოლის და კომუნისტური მოძრაობის ნამდვილ ნიადაგს წარმოადგენს; ემსახურება მხოლოდ კერძო და ეგოისტურ ინტერესებს; არავითარი ზნეობრივი მოვალეობით არაა დაკავშირებული საზოგადოებასთან; არის განყენებული და ანონიმური; იმყოფება სავსებით დიდი „ტრესტების“ და „კავშირების“ ხელში, რომელთ მუშათა კლასი საექსპლოატაციო საგნადა აქვსთ გახდილი.

მენშევიკებსა სურთ ეს ზე-კაპიტალიზმი შემოიტანონ საქართველოში. მათ კარგად უწყიან, რომ მხოლოდ დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება და დემოკრატიული ეკონომიკა, ე.ი. ზე-კაპიტალიზმი ჰყოფს შესაძლებელს სოციალიზმის განხორციელებისა. ინტეგრალური ნაციონალიზმი მარქსიზმს უმთავრესად ამ მხრივ ებრძვის. ნაციონალისტური თეორია წინააღმდეგია ზე-კაპიტალიზმისა და ეროვნული კაპიტალიზმის დამყარებასა ლამობს.

აი, მოკლედ შინაარსი ნაციონალისტური ეკონომიკისა: ცხოვრების ყოველი გამომჟღავნების ნორმალური განვითარება საჭიროებს მტკიცე წონასწორობას. სოციალურ ფაქტორთა გადაგვარება მათი წონასწორობის დარღვევით იწყება ხოლმე. წონასწორობა, მეტადრე ეკონომიკაში უნდა იყოს დაცული. წინააღმდეგ შემთხვევაში მის ნიადაგზედ წარმოიშვებიან ხოლმე ცხოვრების მავნე ელემენტები და ლამობენ ცივილიზაციის განადგურებას. დემოკრატიზმმა დაარღვია ეკონომიკის წონასწორობა. ამას მოჰყვა სოციალისტური მოძრაობა; მარქსიზმი, თავის მეორე და მესამე ინტერნაციონალიზმით; ლენინ-ჯუღაშვილები; მენშევიკები და რევოლუციონერები. ესაა სავალალო შედეგი დემოკრატიზმის ერთი საუკუნის ბატონობისა.

ნაციონალიზმი ლამობს ეკონომიკას ხელახლად მოუპოვოს დაკარგული წონასწორობა, შეგუებული ახალ პირობებთან და უფრო უკეთ ფუძეებზედ დამყარებული ვიდრე უწინ. რა ჰქმნის ნაციონალისტური ეკონომიკის წონასწორობას?

პ ი რ ვ ე ლ ი. უწინარეს-ყოვლისა მისი ფუძეები. ვინაითგან ეკონომიკის გარდუვალ ფუძეს კერძო საკუთრება შეადგენს, აუცილებელია ამ უკანასკნელს სავსებით გარკვეული სახე ჰქონდეს. რამდენადაც მეტადაა იგი საერთაშორისო ძალების ხელში, იმდენი მეტი ბუნდოვანობითაა მოცული. ხოლო რამდენად მეტად აქვს მას ეროვნული სახე, იმდენად მეტი მკაფიოებითაა იგი გამოსახული. მეურნეობა უმთავრესად ეროვნულ საკუთრებას უნდა შეადგენდეს.

მ ე ო რ ე. ეკონომიკას უნდა ჰქონდეს მკაფიოდ დასახული მიზნები. იგი არ უნდა იყოს თავის ანაბარად მიტოვებული და დამოკიდებული უხილავ და უცნობ ძალთაგან. ხოლო ერთად ერთი ნათელი და მასთან დადებითი მიზანი ეროვნული მიზანია. ეკონომიკის ნიადაგზედ კერძო ინტერესები ეროვნულ საერთო ინტერესებს უნდა ემორჩილებოდენ.

მ ე ს ა მ ე. ერის ეკონომიური შემოქმედების ყოველ დარგთა შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული ჰარმონია, შეთანხმებითი მოქმედება. ეროვნული ეკონომიკის ამა თუ იმ დარგის განვითარების რაოდენობას უნდა განაგებდეს ეროვნული მიზან შეწონილობა. მენშევიკებს, როგორც ბოლშევიკებს სურთ საზოგადოების შემოქმედების მთელი ენერგია საქარხნო მეურნეობაზედ გადაიტანონ. ამითი მათ სურთ ხელოვნურად განახორციელონ მარქსის სურვილი: მოსახლეობის მასიური გაპროლეტარება და კაპიტალის კონცენტრაცია. ხოლო ამის განხორციელება სოციალიზმის ე.ი. კომუნიზმის სინონიმია.

სულ სხვაა ნაციონალისტური მიმართულება. ამ უკანასკნელის მიხედვით, სოფლის და საქარხნო მეურნეობის შორის უნდა დაცული იყოს განსაზღრული პროპორცია. ეს პროპორცია შეგუებული უნდა იყოს ერის სპეციფიურ პირობებთან. საქართველოს ნივთიერი არსებობის მთავარ წყაროს მიწად მოქმედება შეადგენს. ამ მკვიდრი და რეალური ნიადაგის დაკარგვა, ეროვნულ სხეულს დაასნეულებს. ამიტომ ეროვნული სახელმწიფოს მთავარი ზრუნვის საგანს, ჩვენში მიწადმოქმედების რაციონალიზაცია უნდა შეადგენდეს. რასაკვირველია, საქარხნო მეურნეობასაც უნდა შეეწყოს ხელი. მაგრამ იმდენად, რიმდენად ეს ერის ინტერესებს უპასუხებს და სოფლის მეურნეობას არ ავნებს, გლეხობას არ გააპროლეტარებს. უცხო კაპიტალის შემოტანა, სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

მ ე ო თ ხ ე. მეურნეობის ნორმალური განვითარება თხოულობს შრომის წიაღში სრული მშვიდობიანობის არსებობას, კლასთა შეთანხმებით თანამშრომლობას. იქ, სადაც მძვინვარებს კლასთა ბრძოლა, დადებითი შემოქმედება შეუძლებელი ხდება. ამიტომ აუცილებელია დამყარდეს კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა. ხოლო კლასთა სოლიდარობის განსამტკიცებელ საშუალებად ნაციონალისტურ თეორიას კორპორაცია მიაჩნია. მაგრამ კორპორაცია არა ძველი სახით, არამედ გადახალისებული და ცხოვრების დღევანდელ პირობებთან შეგუებული. მხოლოდ კორპორაციას ძალუძს დაამყაროს ეკონომიკის ნიადაგზედ არსებული კლასთა შორის დამოკიდებულებაში, თანასწორობის და სამართლიანობის ის მაქსიმუმი, რომლის განხორციელება შესაძლებელია ადამიანთა საზოგადოებაში.

ზემოდ აღნიშნული ოთხი ფაქტორი ჰქმნის ეკონომიკის წონასწორობას. ამნაირ წონასწორობაზედ და საღ ფუძეებზედ დამყარებული ეკონომიკა შეუძლებელ ჰყოფს მარქსისტული მოძრაობის განვითარებას. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ მარქსისტები გამწარებით ებრძვიან ნაციონალისტურ ეკონომიკას და თან დიდის ენერგიით იცავენ დემოკრატიული ეკონომიკის პრინციპებს.

ნაციონალისტური თეორიის მიხედვით ეკონომიკის ხელმძღვანელი უნდა ეროვნული სახელმწიფო იყოს. ეროვნული სახელმწიფო უნდა იყოს შრომის ორგანიზატორი; ეკონომიკის მიზანთა დამსახველი; მოსამართე კლასთა შორის აღძრულ უთანხმოებათა; ეკონომიკის წიაღში დისციპლინის და წესიერების დამამყარებელი.

ასეთია, მოკლედ, ნაციონალისტური ეკონომიკა. იგი ხასიათდება ეროვნულ მიზან-შეწონილებით და დისციპლინით.

ლეო კერენელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენის კულტი

„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა სამღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.“

ილია ჭავჭავაძე.

ენა ერის ერთი უდიდესი დამახასიათებელი ფაქტორია. ყოველი ერის ცოცხალი ენა არის შედეგი ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის, რთული ფსიქოლოგიური პროცესის. ყოველი ერის წარსული ცივილიზაციისა და კულტურის შინაარსის გადმოცემისათვის, სხვა ძეგლთა შორის, ყველაზედ საჩინო და მეტყველი არის ენა. ენა როგორც რთული ფსიქოლოგიური პროცესი გამოისახება ბგერითი, სიტყვიერი ფორმებით. ყოველ ეპოქას თავისებური ცხოვრების პირობები, თავისებური სულიერი კულტურა ახასიათებს და ენასაც როგორც ადამიანის უდიდეს კულტურულ მოვლენას ყოველ დროისთვის თავისებურება ახასიათებს.

მაგრამ ახალი და ახალი ეპოქები მაინც ინახავენ ძველ ფორმებს, ძველი ცხოვრებით შექმნილ სიტყვიერ საუნჯეს. მხოლოდ იცვლება სიტყვათა ფორმები, სიტყვათა მიმართებითი ურთი-ერთობანი, ხშირად თვით ცნებაც და თუ გუშინ ესა თუ ის ტერმინი ერთი ცნების გამომხატველი იყო დღეს ის სხვას ნიშნავს. ამგვარად იცვლება ცნება, ტერმინი კი რჩება ენის საერთო სალაროში. ყოველ ახალ ხანას, ყოველ ახალ შექმნილ პირობებს ენაში შეაქვთ თავიანთი წვლილი.

მაგალითად, თანამედროვე დიდი ინდუსტრიის, მაშინიზმის, რადიო-ჰაეროპლანების ხანამ შექმნა აუარებელი ახალი და ახალი ცნებანი, რაც წარსულ საუკუნეთ არ გააჩნდათ, ეს ცნებანი მოითხოვენ სიტყვიერ გამოხატვის ფორმებს, ტერმინებს. ჩნდება ახალი სიტყვები, იზრდება ენის ლექსიკონი. ენას გარდა ლექსიკური განვითარებისა, სინტაქსიური და სტილისტიური განვითარება და სახე ცვლილებაც ახასიათებს.

იმ დროს, როდესაც ძველი ქართულით მსაზღვრელი სიტყვები ყოველთვის წინ იწერებოდენ. ახალ ქართულში უმთავრესად საზღვრულის შემდეგ იწერებიან. გარდა ამგვარ ცვლილებათა ყოველ დროს თვით სტილიც იცვლება. ის მარტივი გამოთქმა რაც დღევანდელ ქართველს აკმაყოფილებს წინეთ შეიძლება საკმარისი არ ყოფილიყო. გასაგებიც არის რათგან ძველი ცხოვრების მოდუნებული პროცესი მთქმელსაც და გამგონესაც ნებას აძლევდა. საამისო დრო და საშუალებაც ქონდათ; დღეს ვრცელი გამოხატულების მოსმენა ისევე ძნელია, როგორც თქმა. თანამედროვე ცხოვრების სწრაფი მიმდინარეობისათვის დამახასიათებელია მეტი სიმარტივე და ხვარტულობა და ცხადია ენასაც აქეთ აქვს ტენდენცია. მაგრამ ყველა ამგვარ ცვალებადობათა და განვითარებასთან ერთად ენა მის პირველი ყოფილ სულს მაინც ინახავს. იცვლება სიტყვათა ადგილი ფრაზაში, სიტყვები იგივე რჩებიან, იცვლება სიტყვათა ფორმები, იცვლება წარმოებითი ელემენტები, მხოლოდ ძირი რჩება და საუკუნეებიდან საუკუნეებამდე ახალ თაობას გადასცემს მის წინაპართა კულტურას, სულს, და მის პირველ ყოფილ შექმნის ნივთიერ ნიშნებს. რომ ამა თუ იმ დიდი წარსულის მქონე ერს ყოველგვარი წყაროები წარსულისა დაეკარგოს და დარჩეს მხოლოდ ენა, მეცნიერებას შეუძლია აღადგინოს მთელი მისი წარსულის სურათი, რათგან ენაში ჩახატულია მკვიდროვებული სახე მთელი წარსული კულტურის, ცივილიზაციის, და ყოველგვარი ვითარების. საკმარისია ამ სურათის ხელოვნური გაზრდა და ყველაფრის დანახვა ადვილად შესაძლებელია. ამიტომ ეროვნული მეობისა და თავდაცვისათვის ბრძოლის დროს ყველაზედ ძლიერი და მახვილი იარაღი ენაა. ენა როგორც ძლიერი ფაქტორი, მედგარ დარაჯს მოითხოვს. საჭიროა მისი დაცვა ყველაზედ უწინარეს. საჭიროა ენის კულტის შექმნა. ყოველ ერს იმდენად აქვს ზნეობრივი უფლება, თანამედროვეთა წინაშე (და იურიდიული ისტორიის წინაშე), იბრძოლოს ეროვნული მეობის დაცვისათვის, რამდენადაც ის იცავს და ინახავს უზრწნელად თავის ენას. ხოლო ყოველი ამგვარი ბრძოლა გამარჯვებით მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდება, თუ ის ეყრდნობა მის შინაგან ურყევ რწმენას და შედეგია ძლიერი სულიერი ძლევისა.

ამ მხრივ ქართველი ერი მთელი საუკუნეების გასწვრივ სასტიკად იჩაგრებოდა, მაგრამ შეუდრეკელი საპროტესტო სული ქართველთა მაინც მედგრად იცავდა ბოლომდე ქართულ ენას.

მე-19-ე საუკუნეში უკულტურო რუსეთის ბატონობამ ძალიან დააზიანა ქართული აზროვნება, დამალა ეროვნულ საზოგადოებრივი ფსიქოლოგია, დაანგრია საუკუნეებით ნაგები და აზიზად დაცული ეროვნული შენობა და ქართველი ერი თვალუწვდენელ უფსკრულის პირს მიიყვანა.

და აი, ამ ტრაღიკულ ვითარებას არ შეიძლებოდა ჩვენი თაობა არ გამოეღვიძებინა. დღეს ჩვენს წინაშე ეს ამოცანა სდგას მთელი თავისი სისასტიკით. და ჩვენი თაობის მისია და წმიდა მოვალეობაა მეოცე საუკუნის კულტურულ აზვირთებაში ამ საქმეს სათანადო განაჩენი გამოუტანოს.

როგორია დღეს ქართული ენის ვითარება, რა მდგომარეობაში იმყოფება ის დღეს, ამ დიდ ეროვნულ გამოღვიძებისა და გათვითცნობიერების ხანაში. და ეს ვითარება იქმნება ბრწყინვალე საზომი იმისა თუ დღეს რამდენად ძლიერია და შინაგანი აუცილებლობით გამოწვეული ქართული პატრიოტიზმი. რამდენად ამართლებს ქართველი ადამიანის გრძნობისა და განცდის ქვეყანა იმ დიდ ზმაურს, რომელიც გაისმის დღეს ყველა წრეებში. ქართული პატრიოტიზმი მართლა დაუახლოვდა თავის გუნებრივ და ორგანიულ საწყისებს თუ ის ერისთვის ჯერ კიდევ წარმოადგენს იმ ნივთს, რომელსაც ატარებს პორთფელით და სადაც ბაზარს ნახავს მხოლოდ იქ გამოაფენს.

უკანასკნელ ათეულ წლებში მომხდარ ამბებმა, ახლად ავალებ აზელილი ახალგაზრდობა ისევ საგონებელში ჩააგდო. ვისაც დღეს ბოლშევიკურ საქართველოში უცხოვრია, ამ მხრივ უთუოდ ბევრ გულსაკლავ ფაქტებს ნახავდა. ამის მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს, და რათგან ვფიქრობთ რომ ის ყველამ კარგად უწყის, მათ ჩამოთვლას აღარ გამოვეკიდებით.

მიუხედავად ბოლშევიკების სასტიკი რეჟიმის, მიუხედავად ძლიერი რუსოფილური პოლიტიკის არსებობისა დღეს საქართველოში, მიუხედავად სასტიკი ტერორისა და რეპრესიების ყველა იმ ძალებისა და მოვლენების მიმართ, რომელნიც ეროვნულ იდეალს, მისი კულტურისა და ენის კულტის შექმნას ემსახურებიან—მაინც მთელი მე-19-ე საუკუნის გამავლობაში აროდეს ყოფილა ქართული საპროტე-

სტო სული ისე ძლიერი და შეიარაღებული, როგორც დღეს. დღეს კომუნისტურ საქართველოს სცენის ქვეშ სდუღს დიდი ეროვნულ კულტურული ზღვა. მწერლები და მხატვრები მეტაფორებისა და ფერების ქვეშ ჩრდიან და ანვითარებენ ეროვნულ ღირებულებათა მარგალიტებს. ვერც ცეკას რეზოლიუციები, ვერც «დამკვრელი ბრიგადები» და ვერც ეგრედ წოდებული საბჭოთა ლიტერატურის რეგლამენტები ვერ აზერხებენ დიდი ეროვნული ნებისყოფის გამოვლენას და ის ამ დიდ წნევის ქვეშ სხვა და სხვა სახითა და ტანსაცმელით როგორც აუცილებლობა პოულობს განსახიერებას.

საკუთარ მიწაწყალზედ შემოკრებულნი ქართველი მეცნიერნი ასე თუ ისე იძიებენ და იკვლევენ ერის წარსულ დიდებათა ლაბირინტებს, ქმნიან ჩვენთვის აქამდე უცნობ, ეროვნულ მეცნიერებათა საფუძვლებს და აგებენ იმ შენობას, სადაც უცნობამი დაღლილ-დაქონცული ქართველი ერი დღეს ნახავს თავშესაფარს.

მოაზროვნენი ამა თუ იმ სახით გადასცემენ ახალ თაობას ჩვენი დროის იდეათა და სხვა ღირებულებათა მიღწევებს.

ამოზრდილნი ნიღაბ ქვეშ ჩასჩურჩულებენ ნორჩ თაობას ბრმა მეჩონგურის სიტყვებს« მოდი შვილო ჩემთანა, იცან შენი ქვეყანაო».

ხუროთ მოძღვარნი თავჩაქინდრულნი სცემენ წერაქვს და ერის ბედნიერების თვლებსა სჭედავენ.

დიახ! დღეს ნივთიერად და ფიზიკურად განადგურებული საქართველო, მთელი საუკუნოებრივი ჩაგვრის ქვეშ მორალურად დაცემული და აფორიაქებული ქართველი ერი, მისთვის ამ [illegible]ნელ პირობებში იღვიძებს, მოდის ძლიერი ძომახილით; მარ[illegible] ეს მოძახილი მოისმის ღრმა უფრსკრულითგან და ყველასთვის გაუგონარია: მის სახეს ბნელი ნისლი ადევს და ყველასთვის შეუმჩნეველია, მაგრამ მის ძალას განიცდის ყველა და ხშირად მტერიც ადვილად ისრის ქედს მის წინაშე.

დღეს მთელი ქართველი ერი თავგამოდებული ებრძვის მტერს ყოველგვარი საშუალებებით...თუ მრავალ სფეროში ის მარცხდება ძლიერი მტრის ხელით, სამაგიეროდ, ბრძოლის ზოგიერთი პოზიციები დაუძლეველი შეიქმნა მტრისათვის.

კულტურულ და სულიერ დარგებში ერი იმარჯვებს მედგრად. კომუნისტური მთავრობა ათას ზომებს იღებს, ათასგვარი ცირკულიარებითა და განკარგულებებით სცდილობს გადასდრიკოს ეროვნული მიმართულების დიდი დასაწყისი, მაგრამ ამაოდ, ბრძოლითგან ყოველთვის დამარცხებული გამოდის.

კომუნისტმა მამია ორახელაშვილმა პირდაპირ განაცხადა: «ჩვენ ორნაირად ვაგებთ როდესაც ივ. ჯავახიშვილის ნაწერებს სახელმწიფო გამომცემლობა არა სცემს. ერთის მხრით ჩვენ თავს ვამულებთ და ვზრდით მოწინააღმდეგეთა განაკს, მეორეს მხრით ვერც მთლად აგვიკრძალავს მისი გამოცემა, მას კისრულობს კერძო გამომცემელი. ეს ნაწერები ბევრი იყიდება და ფულსაც სხვები იგებენო».

აუარებელი საბჭოთა გამომცემლობა ლპება მაღაზიებში. ხოლო ჯავახიშვილის, კოტეტიშვილის და სხვათა ნაწერებს თუ დროზე არ მიუსწარით ვეღარ ნახავთ მაღაზიაში. ასე იყიდება ილიას, აკაკის, ბარათაშვილის, ვაჟას, ყაზბეგის და სხვა დიდ ქართველ მწერალთა ნაწერები. კომუნისტების დროს სამჯერ გამოიცა ვეფხის-ტყაოსანი და სხვ..

დღეს ყოველი კულტურული ქართველი ამა თუ იმ გზით ჩაბმულია ეროვნულ კულტურულ თანამშრომლობაში. მთელი ერის შემოქმედება დიდის დაბრკოლებებით მაგრამ დინჯი მოფიქრებული და გამოზომილი ტემპით მიიმართება იმ დიდი ხარვეზის ამოსავსებად რომელიც ჩვენს დროს ეროვნული წარსულისაგან მთელი საუკუნით განაშორებს.

საარაკო და სასიამოვნო ამბავი მოხდა საქართველოში ენის სფეროში. იქ დღეს ახალგაზრდობა რუსულს ვეღარ ლაპარაკობს. ამ თორმეტი წლის განმავლობაში აღზრდილ თაობისთვის რუსული ენა იგივეა რაც ძველად სკოლებში რომელიმე სხვა უცხო ენა. იშვიათია ახალგაზრდა რომ რუსული ენა იცოდეს. ასეთები მხოლოდ გამოერევიან, ისეთი ოჯახებითგან ან პროვინციიდან, სადაც ძალაუნებურად ბავშს კიდევ ესმის რუსული ენა. საქართველოში ბავში სკოლაში ვეღარ სწავლობს რუსულს. ხოლო გარედ მოსახლეობაში ისეთი ატმოსფერო შექმნილი, რომ ახალგაზრდას ეჯავრება ის, არ ფიქრობს მასზედ. ბევრი შეგნებულად გაურბის არა მარტო შესწავლას, არამედ ვინც იცის ლაპარაკსაც. ახალგაზრდობაში გატონობს ძლიერი პროტესტი რუსული ენისა და რუსოფილობისადმი. ამ მხრით ინსტინქტიურა დაც ამოძრავებულია მთელი მასები.

რუსულ ენას ერი სდევნის თავისი სინამდვილითგან.

და აი, კომუნისტურ სინამდვილეში ასე თუ ისე მოწყობილ ეროვნულ სკოლებმა მოგვცა ის შედეგი, რომ ერში პრაქტიკულ ხმარებითგან სავსებით განიდევნა რუსული ენა.

ამ ამბავმა ააღელვა რუსეთის მოციქულები და დადგენილება დადგენილებას, განკარგულება განკარგულებას მოაყოლეს ამ მოვლენისადმი შესაბრძოლებლად. მაგრამ ყველა ცდა აქამდე ამაოდ მიდის, და დიდი წინააღმდეგობანი უფრო ასალკლდევებენ ქართველის სულსა და ნებისყოფას.

საკმარისია მრავალთაგან ერთი შემთხვევა დავასახელოთ. ვინაითგან დღეს საქართველოში დიდძალი ახალგაზრდობა სწავლობს, ხოლო მათ კი რუსული სრულებით არ იციან, ამიტომ ის გადაიქცა ამ მოვლენის სრულ საზომად. მთავრობაც იძულებული შეიქმნა ბრძოლა ისევ სკოლებიდან დაეწყო.

1928 წლამდე მაღალ ჯგუფებში ქართული და რუსული ენებისთვის თანაბარი დრო იყო დათმობილი. 1928-1929 სასწავლო წლის პროგრამებში მე-9-ე და მე-10-ე ჯგუფებისთვის დათმობილი იყო ქართულ ენაში კვირაში 3 საათი, ხოლო რუსულისათვის 5 საათი. გარდა ამისა რუსული ენა რადგან სკოლაში ითვლება უცხო ენად, ცხადია ის იურიდიულად იმდენივე უფლებით უნდა სარგებლობდეს ქართულ სკოლაში, რამდენითაც სარგებლობენ იქ მაგალითად გერმანული და ფრანგული ენები. მაგრამ აქაც, რუსული ენის პროგრამები გააფართოვეს და იქ შეიტანეს საკმაო მასალა რუსული ლიტერატურითგან. მისი დაწყება ხდება მე-2-3-ე განყოფილებაში, როდესაც დანარჩენი უცხო ენები საშუალო სკოლის 2-3 უკანასკნელ ჯგუფებში ისწავლება. ასევე დიდი დავალებებით აღჭურვავენ რუსული ენის მასწავლებლებს, მაგრამ კიდევ ერთხელ, კომუნისტები მათთვის სასურველ შედეგს ვერც ამით აღწევენ. და როდესაც მოწაფე საშუალო სკოლას ათავებს და მიდის უნივერსიტეტში, რუსული ენის არაფერი გაეგება. ამიტომ გამოცდებზე ათას კურიოზებს აქვს ადგილი, რის შესახებაც იქ მთელი რიგი ანეგდოტებია შექმნილი 1), რაც სინამდვილეა.

და ბოლოს თვით უმაღლეს სასწავლებლის ყველა ფაკულტეტებზეც შემოიღეს რუსული ენის სწავლება.

მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ ეროვნული ბორბალი ისე შემოგრუნდა, რომ მას ვეღარაფერი ძალა უკან ვეღარ შეაბრუნებს.

მართალია, ქართული ენა სხვა მხრით კიდევ შევიწროებულია, გაბატონებული სტილი ქართული ენისა მწერლობაში ყოვლად შეუწყნარებელი და მიუღებულია, მაგრამ აქაც ქართული კულტურული ძალები სასტიკად იბრძვიან და სამშობლოს საბოლოოდ განთავისუფლებასთან ერთად მისი სრული გამარჯვებაც უზრუნველყოფილი იქმნება.

ამ ზოგიერთი ფაქტების აღნიშვნის შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიპყრო უკანასკნელად, ქართული ენის მდგომარეობამ აქ, ამიგრაციაში.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენ ემიგრაციაში ვიმყოფებით, და როდესაც ჩვენთვისაც დაჰკრა უბედურმა საათმა და ვეწვიეთ მას, დიდად გავოცდით.

ემიგრაცია, რომელიც შეიქმნა მსხვერპლი, არა ნაკლებ ძლიერი სხვა მსხვერპლთა შორის; დევნილი სამშობლოდან, მოშორებული თავის მიწა-წყალს; საკუთარ კერას, მშობლებს, ნათესავებს და ყველა მოკეთეს მოკლებული,— ვფიქრობდით უფრო ძლიერად განაღვივებდა გულში მტრისადმი ზიზღს.

ემიგრაცია, რომელიც სარგებლობს აზრის გამოთქმის და სხვა თავისუფლებებით—გვეგონა, სასტიკად და გაბედულად გამოსთქვამდა ჩვენი დამღუპველი რუსებისადმი შეურიგებლობის აზრს. უფრო ძლიერად შეებრძოლებოდა მათ მიერ საუკუნეებით ჩვენში შთანერგილ წესებს, და რაც მთავარია მათი ენის ბატონობას ჩვენში.

გვეგონა, ის მაგალითი შეიქმნებოდა კვლავ დამონებული საქართველოსა და ნუგეშის მცემელი გახდებოდა დატყვევებული ერისა.

მაგრამ ჰოი საშინელებავ! აი რა ვნახეთ ამას ნაცვლად: ჩვენ ძალიან ხშირად მოგვისმენია სრულიად პატიოსან მამულიშვილთაგან, რომ მათმა ბავშვებმა აქ ისწავლეს რუსული ენა. მათ შორის ისეთებიც არიან, რომელნიც იქ, საქართველოში ერთ რუსულ სიტყვას არ გააჭაჭანებდენ ოჯახში. ამას ჰფიცავს არა ერთი მშობელი. და მარტო მშობელი რას იზამს. ბავში ხომ ოჯახს უნდა გაეცილდეს. ის წრე, სადაც მას უხდება ყოფნა, თუ ამ სენით არის შეპყრობილი, რამოდენიც ეცადოს მშობელი, ბავშს მაინც გადაედება ის. და როგორია ეს წრე. არა მარტო ძველი თაობის ხალხი, რომელნიც ასე თუ ისე შეჩვეულნი არიან რუსულ ენას, რუსულ აზროვნებას, არამედ ახალგაზრდებიც რუსულ ენაზედ ისე შეექცევიან თითქოს ის «მოდაში» იყოს, მათ ავიწყდებათ რომ ამან დაღუპა ქართველი ერი, რომ იგივე ღუპავს დღეს მას და ბოლოს ზოგიერთებმა ისიც დაივიწყეს რომ გუშინ თვითონ ღვრიდენ სისხლს ამისთვის, რასაც დღეს სხვები განაგრძობენ. ამ ახალგაზრდათა შორის ისეთებიც კი გვხვდება, რომელთაც ქართული ლაპარაკი უკვე აღარ ეხერხებათ და კრებებზედ რუსული ლექსიკონის გარეშე სიტყვა ვერ უთქვამსთ. ჩვენ სრულიად არ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ხვალ თუ გვეღირსა ბედნიერება და ჩვენს ქვეყანას დავუბრუნდით, ამგვარი ახალგაზრდები უცხონი შეიქმნებიან საქართველოსათვის, ქართველი ერი ვერ მიიკარებს მათ და ვერ გაუთბობს გულს. ბევრი მათთაგანი, თუ მას სინდისი კიდევ შერჩება, დაიტანჯება ძლიერად და შეიძლება ბოლომდე ვერც შეურიგდეს მშობელ მიწას,

დიახ! შეიძლება რამდენიმე ახალგაზრდის გადაგვარება ერისთვის დიდი დანაკლისი არ იყოს, მაგრამ ეს სამარცხვინო ფაქტი, აქ უცხო ერების წინაშე, გვარცხვენს უსაზღვროდ, გვცემს მორალურად მათ თვალში და ასეთ ხალხს კი უცხოელნი გაჭირვების დროს ლუკმა პურსაც არ გაუწოდებენ.

მეტსაც მოგახსენებთ; ემიგრაციაში ისეთ ახალგაზრდებსაც შეხვდებით (ქალს თუ ვაჟს), რომელსაც ეთაკილება ქართული ლაპარაკი. და თუ მის რუსულ კითხვას ქართულად გაეცით პასუხი, ამას უზრდელობად ჩაგითვლისთ. ისეთი წრეებიც კი არსებობენ, რომელთაც ეჯავრებათ და მეტიც ეზიზღებათ ისეთები ვინც იცავენ ქართულ ენას და კიცხავენ ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე რუსულის ხმარებას.

ამგვარი ახალგაზრდების საუკეთესო მაგალითის მიმცემნი უფროსები არიან. ჩვენ იმ უფროსებზედ არ ვლაპარაკობთ, რომელთაც რუსული ენა დედა ენის მაგიერ აქვთ მიღებული და მათი უმრავლესობა საზოგადოებრივი აზრისათვის მეორე და მესამე ხარისხოვან მოვლენებს წარმოადგენენ; არამედ ისეთებზე, რომელნიც დიდი პატრიოტობის პრეტენზიებით ტრიალებენ საზოგადოებაში; კიდევ მეტი, ზოგი მათგანი ეროვნული პარტიების ლიდერებსაც უწოდებს თავს. მათი საქმიანობაც ისეთ ქართველ პატრიოტთა საქმიანობას მიემსგავსება რომელთათვისაც საქართველო «როდინა» იყო ხოლო რუსეთი «ოტეჩესტვო». რუსულად ლაპარაკი ურთიერთ შორის, რუსულად წერა, რუსულ პრესაში მონაწილეობა, რუსული ჟურნალების გამოცემა, რუსული ენაზედ მოხსენების კითხვა. და მერე რა თემაზე?!— რუსთველის შემოქმედებაზე! და სხვ..

განა ჩვენი დროის ქართველს აქვს მორალური უფლება ამგვარ პატრიოტისაგან თავის მართლების სიტყვა მოისმინოს?! ან და რა საბუთი არსებობს ამისთვის. ის რომ მომხსენებელს სხვა ენაზე საუბარი არ ეხერხება! მაშინ ის უნდა გაჩუმდეს. მთელი თავისი სურვილები და მოისწრაფებანი მსხვერპლად უნდა შესწიროს თანამედროვეობის მიერ სასტიკად წამოყენებულ ეროვნულ თავმოყვარეობას. ყოველი წყურვილი უნდა ჩაიკლას და თავის თავი სულიერად კი არა, თუ საჭირო გახდა ფიზიკურადაც უნდა შესწიროს დღევანდელ იდეალს.

რუსულ ენაზე ლაპარაკი. მერე სად!? კავკასიის ერებში, სომხებთან, თათრებთან, მთიულებთან. იმ ერებთან, რომელთაც სწორედ საწინააღმდეგო მაგალითი უნდა მივცეთ, რათა მათშიც ძლიერი ეროვნული გრძნობის გამომუშავებას ხელი შევუწყოთ. ამგვარი საქციელით კი თვით ჩვენს მტრებს რუსებს საჯაროდ ვუმტკიცებთ, რომ ჩვენ, მართალია გებრძვით, მაგრამ თქვენი ენის გარეშე ცხოვრება არ შეგვიძლია, რომ ის იყო და არის კავკასიის ერებისათვის საერთო ენა, ენა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ერთმანეთს ვიგებთ, ერთმანეთთან ვთანამშრომლობთ! ასეთ სამსახურისათვის ვინ ეტყვის მადლობას ამ ჩვენ «ლიდერებს»?!. რ უ ს ე ბ ი!

რუსული ენის შესახებ ფიქრების ამგვარი ლანდები დღესაც არა ერთს აწუხებს. მისთვის სხვა ვითარება წარმოუდგენელია: ის დაბრმავებულია რუსეთის საუკუნეობრივი ბატონობის უღელს ქვეშ, ის შეპყრობილია რაღაც გამოურკვეველი ფსიხოზით, ის ვერ ხედავს რეალურ სინამდვილეს, მას არ უნდა დაინახოს ჩვენი წარსულის [illegible], ქართველი ერი როგორ სცხოვრობდა [illegible] წლის განმავლობაში, რუსების და რუსული ენის გარეშე. ასევე კავკასიის სხვა ერები. მათ ხომ არ [illegible] ნაკლები საშუალებანი ქონდათ ურთიერთობისა! და აი, ეს ჭეშმარიტება არ ესმის ბევრს. ჩვენ უნდა გვერჩიოს ერთი რომელიმე კავკასიური ენა იქცეს საერთო ენად, ვიდრე მოსისხლე მტრის, რომლისათვისაც სწორედ ეს არის საუკეთესო საშუალება ჩვენი განადგურებისათვის.

რომ ეს ყველაფერი სინამდვილეა ამას სხვა საბუთებითაც ნათელვყოფთ. ამისთვის კი ჩვენ არ შეიძლება არ გავიხსენოთ უკანასკნელ წლებში ემიგრაციაში მომხდარი ერთი ფაქტი, თუმცა მისი გახსენება შეიძლება ზოგისთვის არა სასიამოვნო იყოს, ხოლო ზოგმა შაბლონად ჩაგვითვალოს.

ამ ორიოდე წლის წინეთ გ. ბ. გიორგაძემ გაზეთ «თ ე თ რ ი -გ ი ო რ გ ი»-ში დაბეჭდა წერილი «გადაგვარების გზაზე», სადაც ცოტა ახალგაზრდული სტილითა და გაბედულობით ეხებოდა რუსულ ენას, ამ გარემოებამ ჩვენი საზოგადოება ისე ააღელვა, რომ ასე წარმოიდგინეთ, ისიც კი დაავიწყდათ, რომ თვითონ გუშინ რუსებმა გამოდევნეს საქართველოდან და დღეს კი აქ თავდადებულად დაიცვეს რუსები. უდიდესი წყრომა, ლანძღვა-გინება...როგორ გაბედეთ რუსებზე ცუდის თქმა, მგონია გ. გიორგაძე იმ წუთს რომ ვისმე შეხვედროდა სათოფეთ არ დაინდობდენ. ერთმა ჯგუფმა ქართველ მოქალაქეთა საპროტესტო წერილიც კი გაუგზავნა თ. გ. ორგანიზაციას (იხ. გაზ. თ. გ. N23) და მას მერე ვინ აწერს ხელს; ისეთი გვარები, რომელთაგან საქართველოს ტახტზე არც ერთი იტყოდა უარს, და ისეთებიც, რომელთა წინაპარნიც დღეს ამშვენებენ ჩვენი ისტორიის ფურცლებს.

ეს აზრი ემიგრაციის თითქმის ყველა ოფიციალურ ორგანიზაციებმა გაიზიარეს, ხოლო რუსებისათვის რასაკვირველია შეუმჩნეველი არ დარჩა ეს ამბავი, და თუ მე-19-ე სა-ში მათ ასეთ ერთგულებისათვის ჩინ-მედლებით აჯილდოებდენ, ახლა აქ თავიანთ თანამემამულეებად, ერთგულებად და «სამშობლოს» (რუსეთის) დამცველებად გამოაცხადეს. 1)

ამგვარ სამწუხარო ფაქტებს აქვს ადგილი აქ, ემიგრაციაში. იქ, საქართველოში, თუ ბოლშევიკ რუსების უღლის ქვეშ ერი აზერხებს გადაიგდოს კისრითგან ის მძიმე ცოდვის ჯვარი, რომელიც მთელი საუკუნით ატარებიეს მას, სამაგიეროდ აქ, ემიგრაციაში, «მებრძოლი» ქართველობა მას ისევ სიამოვნებით ეზიდება.

ყველა ასეთი ამბების შემდეგ რომელი ზნეობრივი უფლებით უნდა ვებრძოლოთ იქ რუსების ბატონობას?! ან და რა აზრი ექნება ამგვარ ბრძოლას. დიდი ილია იტყოდა: «ვერა განკურნოს მან მონის წყლული, ვინც თვით მონობას ემორჩილებაო». ასე ჩვენი ემიგრაციაც ვერაოდეს ვერ შემუსრავს იმ მტერს, რომლის ენაც ფეტიშად გაუხდია და ამით კიდევ ერთხელ გაამართლებს ბოლშევიკების სიტყვებს,—რომ ემიგრაცია კვდება უმოწყალოდ. და თუ ის თავის არსებობას ასე განაგრძნობს, მართლაც მოკვდება ისე რომ ეროვნულ ცხოვრებაში ოდნავ კვალსაც ვერ დააჩნევს.

მაგრამ ახალგაზრდობა, რომელიც მოწოდებულია დაცემის და გადაგვარების ნიშნებს სიცოცხლის წყალი აპკუროს, სასტიკად უნდა შეებრძოლოს ასეთ შეუწყნარებელ და დამღუპველ მოვლენებს.

კმარა! ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩვენს სივრაგესა და შეუგნებლობასაც საზღვარი უნდა დაედვას. პირისპირ ბრძოლის დროს მაინც უნდა გავარჩიოთ მტერი და მოყვარე. მე-20-ე საუკუნეში მაინც ახალმა საქართველომ პირი უნდა შემოიბრუნოს ისტორიულ სივერაგეთაგან. ძმათა შორის სისხლის ღვრა, ურთი-ერთ დაუნდობელი მტრობა, ღალატი ხოლო მტრის საამებლად მისი ფეხების ლოკვა. საკუთარი თავისა და ღირსების არ ცნობა სხვათა კერპების წინ მუხლთ მოდრეკით ლოდადი. საკუთარი წარსულის კულტურის, ცივილიზაციის და დიდების უარყოფა და სხვათა თანამედროვე კულტურის უმახინჯესი ფორმების წინაშე თაყვანება.

ყველა ამგვარ ბრმა რწმენასა და აზროვნებას უნდა დააღწიოს თავი ჩვენი დროის ქართველობამ.

ახლა მაინც უნდა ვიგრძნოთ დიდი საჭიროება ჩვენი დამახინჯებული და გადაგვარებული სულიერი და მორალური კულტურის განწმენდისა და განახლებისა.

ამისთვის თავდადებით უნდა იბრძოლოს ჩვენმა თაობამ. დღეს ბრძოლა არსებობისათვის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და გამარჯვებისათვის მარტო თოფით აღარ შეიძლება.

თანამედროვე კულტურული კაცობრიობის ბრძოლისა და შემოქმედების სარბიელი გაცილებით ძლიერია და რთული, და ჩვენი მებრძოლი თაობაც მის ყველა ასპარეზს უნდა დაეუფლოს. ქართველმა უნდა დაიბრუნოს ყველა ის კულტურული, მორალური და სულიერი განძი, რაც მის წინაპართ გააჩნდა და რაც თანამედროვეობისათვისაც ღირებულების შემცველი იქნება, ხოლო უკუაგდოს და ისტორიის სავანეს ჩააბაროს ის რასაც ჩვენი დრო და ვითარება აღარ მიიღებს. ქართველი ერი უნდა გაჯანსაღდეს არა მარტო ფიზიკურად და ნივთიერად, არამედ უფრო მეტად ზნეობრივად და სულიერად. სხვაგვარად შეუძლებელია ბრძოლა და გამარჯვება მით უმეტეს დაცვა და შექმნა მომავალში ბრწყინვალე საქართველოისა.

მომავალ საქართველოს აღდგენა და აღორძინება მხოლოდ ამგვარად განახლებული საზოგადოების საქმეა. დღევანდელი ჩვენი საზოგადოებრიობა არც ერთ თვისებას არ შეიცავს ისეთს, რომელიც მომავალ საქართველოს დააკმაყოფილებდეს; ამიტომ ქართული საზოგადოება უნდა განახლდეს, მან ახალი სული უნდა ჩაიდგას, ან უნდა მოკვდეს; მის მაგიერ მოვა სხვა და შეასრულებს ისტორიულ მისიას. საზოგადოების გარდაქმნა, მისი ფსიქოლოგიის, მისი აზროვნების, მისი ორგანიზაციის, არის ძნელი საქმე და მოითხოვს შეუდრეკელ ბრძოლას, და ჩვენი თაობაც ამისთვის არის მოწოდებული, ის უნდა შეურიგებლად ებრძოლოს მას ბოლომდე, არც ერთი პოზიცია არ უნდა დასთმოს. მტკიცე ნებისყოფით, უსაზღვრო თავგანწირულებით, ბოლოს და ბოლოს გამარჯვების განთიადთან სამშობლოს აღორძინებისა და დიდების მზესაც მოესწრება.

ა. მანველიშვილი.

---

1) მაგალითად: როცა მასწავლებელი ეკითხება მოწაფეს რუსულად: «რა არის მუხა (დუბი)—მოწაფე მიუგებს—მუხა არის ხეო».—მასწავლებელი: «მითარგმნე რუსულად,—მამალი მგელი».—მოწაფე: «პეტუხ ვოლკ» და სხვა და სხვა.

1) აი რა სწერს რუსი Goulevitch ი ამ წერილის შესახებ: « Cet article a, du reste, été flétri en des termes que l'on devine, par les Géorgiens restés fidèles à la Patrie Russe. » (ხ.ჩ.ა.მ.) იხ. მისი წიგ. « Tsarisme et Révolution » გვ. 16.

## ბ. ვლ. ახმეტელის მიმართვა ქართველ ემიგრაციისადმი (1

პატივცემულო თანამემამულენო!

თქვენ უკვე უწყით, რომ ჩემსა, როგორც გერმანიაში ქართველი ერის სრულუფლებიან წარმომადგენელსა და საქართველოს გამოხიზნულ მთავრობის თავჯდომარის ნ. ჟორდანიას შორის დაიბადა უსიამოვნება წმინდა სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ. მე ვცდილობდი ყოველივე გაუგებრობა,—ჩვენს შორის გაჩენილი,—ამ ნიადაგისათვის არ ამეშორებინა.

უკანასკნელ რამდენიმე წლის განმავლობაში,— როგორც წერილობით, ისე პირად ახსნა-განმარტების დროს, მრავალჯერ დამიმტკიცებია უსაფუძვლობა და უსამართლობა ჩემდამი მომართულ ყოველ ბრალდებისა...მოვახსენებდი გულწრფელად, რომ შეთავსება ერთ პიროვნებაში მთავრობისა და პარტიის მეთაურობისა შეუძლებელია და მავნებელი ჩვენი ერის საქმისათვის, რომ პარტიას თვითონ გაუჩნდება შესაფერი ხელმძღვანელობა-თქო. აღვიარებდი პირდაპირ, რომ ეროვნულ მთავრობის სათავეში მდგომს ეროვნული დროშა მაღლა უნდა ეჭიროს, რომლის ქვეშ თავშესაფარს უნდა პოულობდეს დამოუკიდებელი საქართველოს ყოველი მოქალაქე, ეროვნების, რწმენის და მდგომარეობის განურჩევლად, რომ დაყოფა მოქალაქეთა სხვა და სხვა ხარისხად და ხარისხების მიხედვით მათთან დამოკიდებულების დაჭერა შეუძლებელი და შეუფერებელია.

ყოველი ჩვენს შორის მომხდარი დავა ამ ქოგრიტით უნდა განგვეჭვრიტა, შესაფერი თარაზო ხელთ გვეგდო და ლარი ისე სწორედ დაგვერტყა, მაგრამ ახლა გამოჩნდა, რომ ამ გზით სიარული ნ. ჟორდანიას არ ეხერხება.

საქართველოს მთავრობის თავჯდომარე, ნ. ჟორდანია შეიკუმშა, შეიხრუტა, ჩაჯდა მის მიერ შექმნილ ბიუროს ბესტში და იქიდან დაიწყო ენციკლიკების გზავნა. ჩაიხედა თავის ტიპიკონში, მოეჩვენა ჩემს მოქმედებაში დოღმატიური და კანონიური ნორმების დარღვევა და პარტიის წინაშე შეცოდებანი. შეხარბებია ახლანდელი მოსკოვის „საქმენი საგმირონი", აუღია იმგვარადვე რკინის ცოცხი და დაუწყია «პარტიის-წმენდა». ნ. ჟორდანიამ უკვე მომხსნა პარტიის „დიადემა" და პარტიის გარეშე დამაყენა. ეს ამბავი ამცნო თავის სამამასახლისოს, რომელიც ხალხში განთქმულ საგურამოს მოგვაგონებს. გახსოვთ ანდაზა: საგურამო ოცი კომლი, მოურავი ოც-და-ათი!..

ბევრჯერ გათამამებულა ნ. ჟორდანია, ცდილა ეს «დიადემა» მოეხსნა ღირსეულ მამულიშვილებისათვის და თანამშრომლებისათვის, დაფითა და ნაღარით გამოსულა, „გამარჯვებაც" უდღესასწაულნია, მაგრამ არ გასულა სულ მცირე ხანიც, რომ თვითონ იგი, ხვნეშითა და ვაი-ვაგლახით შემდგარა დაწუნებულ გზაზედ, სხვისი მიმართულება თავისად გამოუცხადებია და დოინჯ-შემოყრილი აქეთ-იქით მიუხედ-მოუხედნია: შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო!

ნ. ჟორდანიამ გზა კიდეც დამილოცა: ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო, და თავი ჩემი სხვებს გადულოცა იმათ დაუკითხავად. ნეტა, რა საფუძვლით და რა უფლებით გამასაჩუქრა ამ თავმომწონე პოლიტიკოსმა?! ასეთი ოინებით ნ. ჟორდანია შორს ვერ წავა და ვერც ფონს გავა! ეს ჩვეულებრივი ლათაიებია, ამან თავისი დრო და ჟამი უკვე კარგა ხანია მოჭამა. სწორედ დრო დაუმტკიცებს ძალიან მალე ნ. ჟორდანიას, რამდენად სამართლიანია მისი ასეთი ქცევა და მსჯელობა ათვალწუნებულ პირთა შესახებ.

მართლაც, პოლიტიკურ-პარტიული რწმენა ეს ვისიმე კერძო სათავნოს ან ცოლის მზითევში მოყოლილ ქონებას კი არ შეადგენს, რომ, როგორც სურს კაცს, ისე გაანაწილოს და დაურიგოს ყველას...

უკვე ექვს ათეულს ვუახლოვდები. ჩემი პოლიტიკური რწმენის შემუშავება თვრამეტი წლიდან დავიწყე. მასალად გამომიყენებია ცნობილ მეცნიერთა და მოღვაწეთა ნაწერ-ნაშრომი; ჟორდანისაგან ხომ არ მისესხნია?! ვის შეუძლია ყველა ეს ჩემი შენაძენი და ნამუშევარი გამიქარწყლოს და გამინიავოს?! რომელი ჭკუა-დამჯდარი, რომელი დინჯი ადამიანი გაიხდიდა ამას თავის მიზნად და შეუდგებოდა ასეთ ამაო ცდას?! ჩვენდა საუბედუროდ და სავალალოდ, ნ. ჟორდანიას ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმა მიდის იმ მცირეოდენი ვარაყის აყრისაკენ, რომელიც მას ერთ დროს შესძინა გარემოებამ. ამას ხელს უწყობს თვითონ სწრაფად მიილტვის და მიჰყავს ჩვენი ეროვნული საქმე უფსკრულისაკენ. მას ემტკბანურება მხოლოდ მლიქვნელი და პირმოთნე სიტყვა.

ჩვენ გამოძევებული ვართ არა როგორც პოლიტიკურ-პარტიული ხალხი, არამედ როგორც ნაციონალური ემიგრაცია, რომელსაც ევალება როგორც იქ, ჩვენს სამშობლოში, ისე აქ, მის გარედ, ერთი პირი, ერთი სახე ჰქონდეს. ამ სახით უნდა წარვუდგეთ მსოფლიოს, რათა მოვიპოვოთ დანაკარგი. აი, რა უნდა ასულდგმულებდეს არა თუ ხალხის-მერ არჩეულ მთავრობას მარტო, არამედ ყოველ კეთილსინიდისიერ და ღირსეულ ქართველ მამულიშვილ-მოქალაქეს. დიახ, ეს ვალია არა მარტო ერთი ან ორი პარტიისა, არამედ ეს საერთო საქმეა მთელი ჩვენი ცხოველმყოფელ ეროვნულ ძალებისა. როცა ამ გზას ავცდებით, ყველას დაგვატყდება სამარცხვინო ბედი და ჩვენი საწადელი თავიდანვე განწირული შეიქმნება. შევხედოთ მსოფლიოს! როცა კი გასაჭირი უდგება რომელსამე ქვეყანას, ყველანი ერთდებიან განსაცდელის წინაშე. ჩვენ ჯერ სრულიად არაფერი გვაქვს მოპოებული, ერთმანეთს საკინძებს ვაწყვეტავთ და ჩვენი ოფიციალური ხელმძღვანელებიც ამ ძიძგილს ხელს არ აკლებენ.

ნ. ჟორდანიას მარტო ეს ჩემი შეხისხლხორცებული პრინციპები ვერ აუტანია. მას აქამდინ ვერ მოუნელებია სასამართლოში ჩემი ჩვენება ქართველი ერის ერთი შვილის შესახებ. ის, რაც მე სასამართლოს წინაშე განვაცხადე, ეს ჩემი ღრმა რწმენისა და სინიდისის საქმეა. იქიდან ერთ მარცვალსაც არ დავთმობ. მაშ ფიცის ქვეშ ტყუილი უნდა მეთქვა? ამის შესახებ ვრცელი საუბარი და მოხსენება ერთგვარ ხანია უკვე მქონდა მთავრობასთან და ყველა ჩემი განმარტება იყო შეწყნარებული. მაგრამ ამ წამიერმა სინიდისის მზილებამ ზჩანს ვერ გატანა აქამდე და დღეს ნ. ჟორდანიას დასჭირებია ძველი ამხის გახსენება და წამოყვედრება ძველი ამხანაგის წინააღმდეგ. «ერის წინამძღოლს და ცრემლის მომწმენდს». მისი წარმოდგენით, ეს უთუოდ შეჰშვენის და ჰმატებს რასმე?!

მე ძალიან კარგად ვიცოდი, რა ხალხსაც მიმართავდა ის ჩემს საქმეში: ზელქვეითებისაგან რომ მოუკიდოდა მისივე შედგენილი «დადგენილებანი» ჩემი გქსორიის შესახებ. სრული დარწმუნებული ვარ, მას ჩვენი ტანჯული ქვეყნიდანაც მოუვა «ცნობა» პარტიიდან ჩემი გაძევების შესახებ. იცის კარგად, რომ საწინააღმდეგოს დამტკიცება არავის შეუძლია, ვისაც ახლანდელ საქართველოში მიმართვისათვის კარი დახშული აქვს. მე რომ მაგის ამგავი ვიცი, დეკრეტსაც გამოსცემს,—ლადო ახმეტელი ერის მოღალატეა და საქართველოდან სამუდამოდ გაძევებული უნდა იქნასო. მას წინ რა დაუდგება, ნავარჯიშევ ყანგმოკიდებულ იარაღის პატრონს?!

ნ. ჟორდანია ვერ მიმხვდარა, რომ მისგან შექმნილ წრეს არავითარი ნდობა და გავლენა არა აქვს მოპოებული, რომ პირიქით, ყოველ რიგიან ადამიანში ეს წრე ყოველ-დღე იმსახურებს ზიზღსა და სიძულვილს. ნ. ჟორდანიას ჰგონია, რომ დაშეული მკლავით მოქნეული ლაზტით ქვეყანას ზურგზედ მტვერს აადენს და სავალალო ქისით ბევრს მოუნადირებს გულს.

პერიკლესი, თვითონ დიდი ჭკვიანი, სახელმწიფო გონების კაცი, თავს უყრიდა თავის გარშემო მთელი ათინის გონიერ ხალხს,—ნ. ჟორდანიამ კი ყველანი, ვისაც კი მუშაობა შეეძლო, გარიყა და თავიდან მოიშორა.

განთქმული ედ. ბერნშტაინის საკითხის გარჩევის დროს —იმ ედ. ბერნშტაინისა რომელსაც ახლა ასე აღასებენ და პარტიულ რგკლამად სთვლიან გერმანიაში,—გ. პლეხანოვს, ედ. ბერნშტეინის პარტიიდან გაგდების მომხრეს, ცნობილმა ბებელმა უთხრა: «შენს გზას რომ დავადგეთ და შენსავით ყველანი ვრეკოთ პარტიიდან, მუდამ ვიწრო წრე ვიხაზოთ, მაშინ, შენსავით, ჩვენს რკალში ჩვენ მარტონი დავრჩებითო»-ო.

ჩემი სიმართლე რომ ნათელი მეყო, მივმართე ჩემთვის ერთად-ერთ მისაწდომ გზას: დავუგზავნე ნაცნობ-მეგობრებს, ისიც ყველას ვერა, ჩემი ხელმოკლეობის გამო, მთელი მიწერ-მოწერის პირები. და, ჰსაჯონ მეთქი, როგორც სინიდისი უკარნახებთ. რედაქციებისათვის და ორგანიზაციებისათვის არ მიმიმართავს. ეს მასალა მოწინააღმდეგე პარტიათა ორმა გამოცემამ გამოაქვეყნა ჯერ-ჯეროვნით, ღრივე მხარის წერილები დასტამბეს, არაფერი დამალეს. ამით შეძლება მისცეს მკითხველს დამოუკიდებლად თავისი მსჯავრი დაედო ერთისა თუ მეორე მხრის ქცევისათვის. გაზმაურება ჩემი საქმის ამით არ გათავდება. სხვებიც გამოჩნდებიან, რომლებიც გაუწევენ ანგარიშს მომხდარ ამბავს. ჩემი საქმე კერძო საპირადო არ არის, როგორც ეს ზოგიერთებს ეპრიანებათ და ჰსურთ ამით ადვილად ლელოს გატანა. ეს უსამართლობა საზოგადო და სახელმწიფო მნიშვნელოვის მოვლენაა. ასეთი რამ ადვილად არ სწყდება.

ვისი ბრალია, რომ ნ. ჟორდანიამ თავის ორგანოში არ მოათავსა ჩვენი წერილები და ამნაირად ჩემი პასუხი დაუმალა თავის მკითხველს. კარგი პატივისცემა და კარგი იმედი ჰქონია მათი. ასევე მოექცევა საქართველოში მყოფთ. ამათაც დაუმალავს ჭეშმარიტებას. აი, როგორ ამცირებს ხალხს ეს ვითომდა ერის მოსარჩლე მამულიშვილი!..

სჩანს თვითონვე სცხვენიათ ნ. ჟორდანიას და მის რამდენიმე მიმყოლს, რომ არ ამჟღავნებენ. ეშინიათ მათ დღის სინათლისა, ძრწიან მიუდგომელი მსაჯულის წინაშე. აგა, გაებედათ და პირუთვნელ სამსჯავროში გამოეყოლოდნენ! და ეს პატიოსანი გვამნი მიკიჟინებენ,—რატომ ჩვენ არ მოგვმართე მსჯავრის დასადებათო. ვიცი თქვენი პატიოსნება და სამართალი!..ახლა კი დაიკმაყოფილეს სინიდისი: პარტიული «დიადემა» მომხსნეს, სარჩო-საბადებელი წამართვეს ერის წარმომადგენლის, რომლის გადაყენება მათ არ ძალუძთ.

საუბედუროდ, არც სახსარი, არც საშუალება არ მომეპოვება, რომ დავბეჭდო ის, რაც მსურს, და გამოვაქვეყნო ის, რის გამოქვეყნება საჭიროა და სასარგებლო ჩვენი ეროვნული საქმისათვის. ნ. ჟორდანია კი სარგებლობს უპირატესობით: ჩვენი ხალხის ქონებას ახმარებს თავის პასკვილებსა და ლანძღვა-თრევას საპირადო მიზნით.

ნ. ჟორდანიამ თავისი ქცევით ყველას, მიმართულების განურჩევლად, უკვე დაუმტკიცა, თუ რას წარმოადგენს და ვინ ჰლამობს საქართველოს საქმის ხელში დაჭერას იმ დროს, როდესაც ერის ბედ-იღბალი, მისი არსებობის საკითხი ერთ ბეწვზედ ჰკიდია.

ხუმრობა საქმე კი არ მოხდა; სამშობლო დაგვეღუპა. ერმა, რომელმაც თავდადებული ბრძოლით და ვაჟკაცობის უნარის გამოჩენით საუკუნოების განმავლობაში თავი ისახელა, ნ. ჟორდანიას ხელში ასეთი საშინელი მარცხი ნახა. ნ. ჟორდანიას კი აკაფისტებს (დაუჯდომელს) უგალობენ მისი მონა-მორჩილები. ნერონს, იმდროინდელი რომაელები, სხვათა შორის, ცოდოთ იმასაც კი უთვლიდნენ, რომ მისი მეფობის დროს ხშირი მიწისძვრა ხდებოდა, ესენი კი ისე იქცევიან, თითქოს ბუზიც არ აჰფრენოდეს მათ «ბელადს».

თუ ჩვენ მართლაც წრფელად გვწადიან თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოება ერისათვის, ჩვენ უნდა ღრმად ჩავუფიქრდეთ საშინელ მდგომარეობას. უნდა ხომ მოვიდეთ ოდესმე გონს! ჩვენმა დაუდევრობამ, პირში ღიმილმა და ზათრმა საგედისწერო წერტილამდე მიგვიყვანა. ასეთი დაცემის მაგალითი ისტორიას არ ახსოვს.

ქართველ ემიგრაციას ჰმართებს დაუყონებლივ შეუდგეს საქმეს. მან თავი უნდა მოიყაროს, მიმართულების განურჩევლად, იმათზიროს თავის მდგომარეობაზედ, თორემ ბალკანეთის ამბებს მოვესწრებით, როგორც უკვე გვიწინასწარმეტყველეს. ნუ თუ მართლაც უნდა ვიტიროთ ჩვენი საკუთარი კოშიტაჯები და მტრობა-შუღლის გაღრმავება?! განა ეს დაგვავალეს ჭირისუფლებმა? ებრაელების უდიდესი მოჭირნახულე წინასწარმეტყველი იერემია ებრაელთა ერის გამო ბაბილონელების მიერ განადგურებული იერუსალიმის ნანგრევებზედ იდგა და მწარედ ჰგოდებდა. ეს გოდება საშვილიშვილოდ გადაეცა ტანჯულ ერს.

თუ განგვირისხდა ღმერთი და ჩვენც ამას მოვესწარით, ვიხილავთ იერემიას კი არა, არამედ თავჩაქინდრულს, საკინძჩამოწყვეტილ არსებას, რომელსაც ასეთი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის დაცემაში. მან კიდეც თავზედ ნაცარიც რომ დაიყაროს და მოსთქვას თავისი უბადრუკება, შენდობასაც ვერ ეღირსება.

ისტორიის ულმობელმა სამსჯავრომ მას უკვე გამოუტანა სამართლიანი განაჩენი.

ბერლინი, ოქტომბერი, 1932 წ.

ვლ. ახმეტელი.

1) ვბეჭდავთ დაბეჭდილ და გამოქვეყნებულ ფურცლიდგან. რედ.

## წერილი ბერლინიდგან

დიდად პატივცემულო ბ. რედაქტორო!

გთხოვთ დაგვავალოთ და ეს წერილი მოათავსოთ თქვენი პატივცემული გამოცემის უახლოეს ნომერში. ამ 27-კაცის გარდა ბ. ვლ. ახმეტელს ამ წერილზედ ადრე მოუვიდა სამი მოქალაქისაგან დაახლოებით ასეთივე შინაარსის წერილი. ეს რიცხვი (30) უკვე შეადგენს გერმანიაში მყოფ ქართველ მოქალაქეთა დიდ უმრავლესობას.

დანარჩენებს თუ სურვილი აქვსთ შემოგვიერთდენ. ვსთხოვთ გვაცნობონ ამ მისამართით:

Berlin, S.O. 36, Beermannstrasse 4. Gr.-Diassamidzé.

ამ წერილის პირი სათანადო მიმართვით გაეგზავნა გაზეთებს: 1) „დამოუკიდებელი საქართველოს", 2) „ბრძოლის ხმას," 3) „თეთრი გიორგის," 4) „საქართველოს გუშაგს;" ჟურნალებს: 5) „საქართველოს," 6) „სახალხო საქმეს."

მამულიშვილური სალამით გრ. დიასამიძე.

ბერლინი, 12 ივლისი 1932.

ბ-ნ ვლადიმერ ახმეტელს.

დიდად პატივცემულო ბ-ნო ვლადიმერ!

რაპალლოს ხელშეკრულობის შემდეგ გერმანიის მთავრობამ გააუქმა საქართველოს სრულუფლებიანი საელჩო გერმანიაში, მაგრამ თქვენ ფაქტიურად მაინც განაგრძობდით საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვას და მოსარჩლეობას. გერმანიის მთავრობაც განსაკუთრებულს ნდობას გიცხადებდათ და ამ ჟამადაც გიცხადებთ. თავის შეხედულება თქვენს პერსონალურ მდგომარეობაზედ მან განსაკუთრებით მკაფიოდ აღნიშნა გაუქმების გამო თქვენდამი მომართულ ქაღალდში. ახლა შევიტყეთ, რომ ამ 14 წლის წინად საქართველოს დამფუძნებელ კრების მიერ არჩეულ მთავრობას ბ-ნ ნოე ჟორდანიას მეთაურობით განუზრახავს თქვენი გადაყენება. ყველასათვის ცხადია ასეთ განზრახვას არავითარი კანონიური ძალა არა აქვს. იგი ზნეობრივ მნიშვნელობასაც მოკლებულია, რადგან თქვენი უმწიკვლო მუშაობის წინააღმდეგ არავითარი ყურადსაღები საბუთი არ არის წამოყენებული. მაშასადამე ეს ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს ან გაუგებარ შეცდომად, ანდა უცნაურ შურისძიებად. ჩვენ, გერმანიაში მყოფი ქართველობის უმრავლესობა, წრფელის გულისწყრომით ვეობით ასეთს შეუწყნარებელ გამოლაშქრებას თქვენი უანგარო და ღირსეული პიროვნების წინააღმდეგ. ეს სრული უმართებულებაა და უსამართლობა.

იურიდიული არსებობა რომ ჰქონოდა ჩვენს ქვეყანას, მაშინ, რასაკვირველია, თქვენ თვითონ და თქვენი პატივისცემელნიც ადვილად მოახერხებდენ სიმართლის აღდგენას. ამ ჟამად კი ნება გვიბოძეთ დიდი პატივისცემით გამოგიცხადოთ ჩვენი ნდობა და გთხოვოთ ძველებურად და ჩვეულებრივად განაგრძოთ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეთა, ინტერესების მოსარჩლეობა სათანადო შემთხვევაში.

თქვენი ღრმა-პატივისაცემელნი: ამ წერილს ხელს აწერს ოც და შვიდი (27) მოქალაქე, რასაც ვამოწმებ პირველი ხელის მომწერი.

გრიგოლ დიასამიძე.

## ქრონიკა

სამშაბათს, 29 ნოემბერს, საღამოს 4 საათზედ, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზედ, ფაკულტეტის თავმჯდომარის პროფესორი ჰენრი გრეგუარის მიერ გახსნილ იქმნა კურსები ქართული ენის და ასირიოლოგიისა, პროფესორ მიხეილ წერეთლის ხელმძღვანილობით. თვის მოკლე და სასიამოვნო მისასალმებელ სიტყვაში პროფ. გრეგუარმა მადლობა გამოუცხადა ყველას მათ, ვინც კეთილ ინება და დახმარება გაუწია მორალური ან მატერიალური ქართული ენის სწავლების კომიტეტის დაარსებას და პროფესორი მიხეილ წერეთლის მოწვევას ბრიუსელის აკადემიაში 1932-33 სამოსწავლო წლის განმავლობაში, და გამოსთქვა სურვილი მომავალ წლებისათვისაც კურსების გაგრძელებისა. შემდეგ გააცნო საზოგადოებას პროფ. მიხეილ წერეთლის მეცნიერული კარიერა, აღნიშნა მისი შრომანი ინგლისურ და გერმანულ ენებზედ, მათი მაღალი ღირებულება და მნიშვნელობა. შენიშნა აგრეთვე რომ „დომოუკიდებელ საქართველოში მას ქონდა შესაძლებლობა თავის საკუთარ ქვეყნის უნივერსიტეტში ყოფილიყო პროფესორი;" აღნიშნა, რომ „ევროპაში ბრიუსელის უნივერსიტეტი გამონაკლისია, სადაც ქართული ენა ისწავლება ასეთი თვალსაჩინო მცოდნის მიერ, ჩვენი უნივერსიტეტისათვის ეს სამკაულიაო." და ბოლოს უსურვა მხნეობა და ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგი ვრცელი მოხსენება ეკუთვნოდა პროფესორ მიხეილ წერეთელს, რომელმაც თვისი ლექციების დაფუძნების პირველ საჯარო გაკვეთილის თემად აირჩია „ასირიოლოგია და მისი დამოკიდებულება ქართულ ფილოლოგიასთან." მოხსენების შესავალში მან მადლობა გამოუცხადა პროფესორ გრეგუარს, პროფესორ გ. სმეტს, ყოფილ რექტორს და ქართველი ენის სწავლების კომიტეტის თავმჯდომარეს, განსაკუთრებით კომიტეტის მოლარეს შ. ტულუშს, და გადავიდა თვისი თემის საგანზე.

მოხსენების ანალიზის გადმოცემა ძნელია. იქ იყო გარჩევა უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ ნაწარმოებთა ამ საგანზედ. მომხსენებელმა აღნიშნა მათი ნაკლი და დადებითი მხარენი და წამოაყენა რამოდენიმე თვისი საკუთარი ჰიპოტეზანი: რომ „ქართულ ენას, რომელიც არის ძველი, მდიდარი და ორიგიალური ენა, არავითარი ახლო-ნათესაური კავშირი არა აქვს დღეს არსებულ ენებთან და რომ „ენა, რომელიც ყველაზე მეტად ენათესავება ქართულს, არის სუმერულიო" და სხვ..

ქართული საზოგადოება, რომელიც მრავლად დაესწრო პროფესორ მიხეილ წერეთლის ლექციას, კმაყოფილი დაიშალა.


გაზეთი „თეთრი გიორგი" ეღირება:

წლიურად ...... 20 ფრანკი.
6 თვით ...... 10 ფრანკი.
ცალკე ნომერი .. 2 ფრანკი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: M. Dadiani. 4, square du Trocadéro, Paris (16e)

Tél. Passy 45-17

Imp. DUPUIS, 63 bis, rue de Billancourt — Boulogne

Le Gérant: Félix KALDENBACH